

# შინაური საქმეები

№ 30

ფასი ერთი შაური  
წელიწადი ფასა სამი მან.  
წელიწადი მეოთხე.

სოციალ-დემოკრატიული პარტია

კვირა, 25 სექტემბერი 1911 წელი

ყოველ-კვირულ გზეთ

„შინური საქმეები“  
თავი—კახეთის უკლები № 17. და თბილისში გამოცემულან სომ.  
ხის ბაზარში, სომხანის უკლები მდ. ხაში, გამოცემულან თვით თბი  
ნომერი, ბმ. ხელის მოწოდებებს ვახოვი გზეთის ფასი მეოთხე წლის  
ერთად გამოგზავნონ.

წაუნი ფასი: მასიდან წლის ბილირის  
3 მანეთი. | 2 მანეთი და 10 შაური.  
ადრესი: ქუთაისი: „შინური საქმეების“ რედაქცია.

შინარასი: 1) სად არის ხსნა?—კ. გეტლისა; 2) წაღ-  
მა-უკუღმა—კ. წუთისოფელისა; 3) კვირიდამ-კვირამ-  
დე; 4) ბაგრავის სიველით დასჯა; 5) რას გვეუბრენ?  
ფოთიდან—ა. კ.-ისა; 6) კრიტიკული შენიშვნები—  
ხომელელისა; 7) ახრებელი ტირვეულება, პასუხად მ.  
ი. ნიკოლაძეს—ფანიუსისა; 8) ვინ იყვნენ „პაპ“-ები  
ანუ „პაპ“ ები.—ბლ. ი. მარგინისა.

## სად არის ხსნა?

„შინური საქმეები“-ს რედაქციამ გ. მოსთ-  
ვა თავისი აზრი შესახებ ერთმანეთის, — რასა-  
კვირველი სამდელოების, — მხილვისა და  
განწორებისა. დიხ კარგი აზრი მოსვლია რე-  
დაქციას. ნათქვამია „ჭირმა თავი ვერ დამა-  
ლოა“ და სწორედ აქ ზედ გამოკრილია ეს  
სიტყვები. თვითუღის ხანას ერის ცხოვრებაში  
თვისი ნიშანდობლივი დამახასიათებელი ბეჭედი  
აზის. როდესაც აკვირდება ადამიანი გონე-  
ბის თვლით რომელიმე ერის ისტორიულს  
მსვლელობას, მის მაჯის ცეპას, უნებლიეთ თვა-  
ლის წინ ეშლება ამ ერის ამა თუ იმ დროის  
სიაყ-კარგე; სწორ-უპოვობა, სიკეთე და კეშ-  
მარტება გულს საღბუნად ხედება, ავი და  
ბოროტება კი გულს უწყლავს. ჩვენს ერს  
მრავალჯერ ვიწრო და ძნელად გასავალი  
გზით უვლია, მაგრამ თვისი ელფერი აროდეს



დაუქარავს. ასეთს პრაქტესში ხელს უწყობდა ზნეობრივად და გონებრივად, აღზრდილი და განვითარებული სამღვდლოება. ყველგან, კველაფერში იგი მოთავე და მესვეური, დამწყები და გამთავებელი, აღფა და ომეგა იყო, დღეს კი, მე XIX და XX საუკუნეში ცხოვრების პირობების შეცვლის გამო, ისეა ეს სამღვდლოება სახე შეშლილი, რომ სხვის, ერის წინამძღვრობა და კულტურის ტვირთვა კი არა, თვითონვე სჭირია მის შეშლილს, სულიერის ფიზიონომიას ვასწორება— ვასალოშინება, რომ ისევ ისე დაღვს იმ წერტილსა და შნოზე, რომელზეც იგი სხვების მდგარა; ამ ეამად, ამ პროგრესის დროს ზნეობრივად ვალდებული იგი მჭტი უნარი გამოიჩინოს. ამ მხრივ გვინდა მივაქციოთ ჩვენც ყურადღება ამ ფრიად სიმბატურს საგანს და შეძლებისა და გვარად, ჩვენი აზრი გამოვთქვათ.

როდესაც რაიმე საგანზე მოხვლობენ, საკიროა ეს საგანი გამოირკვეს თვისის სიგრძე სიგანით, აიწონ-დაიწონოს, შესაფერი „დიოგენიზი“ დაეყენოს და მერე გაჯანსაღებაზე უნდა იზრუნოს კაცმა. საზოგადოთ, თუ მივიღებთ მხედველობაში სარწმუნოების საქმეში ამ ბოლო ხანებში დიდი რყევა-ტორტმანია და უკიდურებისაკენ სასწორი ხშირად გადაიწევა ხოლმე. სარწმუნოებას და მის პრინციპებს დიდს ყურადღებას აქცევდენ ყველა, ზემოდან დაწყებული ქვემდე და იგიც ერთს კალაპოტში იდგა წინეთ. ახლახან სხვა ქარმა დაჰბერა, სხვა ტალღამ შემოკრა და ყველამ სხვანაირ ანგეზე იწყო მღერა. ამ დროს, სამღვდლოება, სამწუხაროდ, ფეხის ხას აპყავ; სადაც საკირო იყო ხმის აშოლება, იქ გაჩუმება ამჯობინა, გარეშე ვაგლენის ქურქში გახეზია და უცხო ატიმოსფეროთა ვაიულებთა; მისწყდა ხმა მამობრივი, მოსიყვარული, ხან მამხილებელი, ხან დასამოძღვრი, „სულიერი ცხოვარნი“ ზოგი მომთაფნატა, ზოგიც ფარეხში დარჩა, მაგრამ არ იცის იქ დარჩეს, თუ გადააბიჯოს გაღაფანს. მაშასადამე სულიერად დაქვეითების მიზეზად უნდა მივიჩნიოთ პირველად საზოგადოთ დრო-

თა მსვლელობა. ტყვილა კი არ ამბობენ „დრონი მფობენ“.

მეორე მიზეზი დაქვეითებისა უნდა იყოს სხვა და სხვაობა სამღვდლოებაში. საზღვა-გარეთ სამღვდლოებას სპეციალურად განკერძოებული სასწავლებლები აქვთ, საიდანაც სწავლა განათლებას ღებულობენ მომავალი მწყემსნი. იქაური მღვდელი ღრმად განსწავლილია, თვისი მოვალეობა ზემდწიენით შესწავლილი აქვს, სასულიერო და საერო განათლება მიღებული აქვს და მზად არის მტკიცედ იდგეს თვის მოწოდებაზე. ჩვენში რას ვხედავთ? თუმცა ჩვენშიაც არის სპეციალური სასწავლებლები, მაგრამ აქ უფრო სხვანაირადაა საქმე დაყენებული. სემენარია-აკადემიის არავინ გვიძებნის. ჩვენში მღვდლებია ზოგი სასულიერო სასწავლებელ გათავებული ზოგი საქალაქო სასწავლებლიდან ან საოსტატო სემინარიიდან და ან საბალანსო სასწავლებლიდან. მწვდლობა მიჩნეულია ერთ-ერთ შემოსავლიან წყაროდ და მისი მოძებარი თავს არ იზოგავს რაიმე ნაირად ჩაიგდოს ეს „გემპრიელი ლუკმა“. ნამეტურ ამ დალოცვილ არჩევენების სისტემის შემოღების დროს მღვდლობა რომ ყბად-ასაღები და წყალწასაღები შეიქნა, ამაზე განმარტება მეტია. ყველამ იცის, თუ რა საზიზღარი შედეგი მოსდგეს ამ არჩევენებს. მღვდლობას ის იგდებს ხელში ვინც ინტრიგანი, ფარისევლი და მლიქვნელია. მღვდლის ხარისხის მიმღები სხვა და სხვა წრის, მიმართულების, ბანაკის და ხელოებისა. ასეთს არევე-დარევეს ის მოაქვს, რომ ერთი ვაჰარია, მეორე მოეახშე, მესამე ლოთი, მეოთხე ზნეობრივად დატყმული, შეიძლება აქა იქ ციციანთელსავით ანათებდეს ზოგიერთი მღვდელი თვისის მოვალეობის შეგნებით, მაგრამ ეს ხომ ზღვაში წვეთია და მათი მბრეტავი სინაულე ზეთგამოლეულ ლამპასავით ხანდისხან საზოგადო უკუენთში იკარგება. — ეს მეორე მიზეზი.

ქ. გქელა.

შემდეგი იქნება.



# წალმა-უკულმა. \*)

Vi.

ლოზამ შეიკვალა ხასიათი და მიმართულა, რაც კოლიას ახარებდა და ძალიან მოსწონდა. რა თქმა უნდა, სადუხანასაც მადლოდა და აქებდა, რომ ჯიუტად ადამიანის რწმენა შეხედულაბის შეცვლა შესძლო. ახლა თვით კოლიაც კი ვაერია საქმეში, იმნაც დაუწყო ღიზის გაკვეთილებს მიცემა, მაგრამ პირდაპირ კი არა, როგორც პირველად; მის ახსოვდა სადუხანას დარაგება, რომ წყრომით, პირდაპირ ჩაგონებით და მრისხანე მხელით საქმე უფრო გამწვავდებოდა; საქმეს მოხერხებულად შეზღოვლით უფრო ეშველებოდა; ახსოვდა აგრეთვე, რომ გამოცდილ-გამოჩაბულმა სადუხანამ უთხრა: „ცოტა და უმნიშვნელოში იქით უნდა მიყუე, თუ გსურს დიდში და მნიშვნელოვანში აქით მოგვეყუე.“ — ამ სახით, თვით კოლიაც მოხერხებულად აცლიდა ღიზს იმ ზნეობრივ სისპეტაკეს, მგრანობიარე გულს, ცხოვრებაზე ჭეშმარიტ შეხედულობას და ყველა იმ იშვიათ ღირსებებს, რითაც ღიზას სამართლიანად შეეძლო თავის საქმის წარმომადგენლებზე მადლა დამდგარიყო... ადამიანის სახით გამოცხადებულმა დემონ-სადუხანამაც ხომ ერთობ ამ საქმისთვის მოიკალა. რა და რა მავალითები იმას არ მოჰყავდა შეთხზული და მავონილ-გავონილი საერთო და სასულიერო ცხოვრებდან. მავალითების მოყვანითვე აპარება ნელ-ნელა ამ რწმენას, რომ ადამიანმა თავის საქუთარი სურვილების დასაკმაყოფილებლად უნდა იცხოვროს ქვეყნად, სადაც სიკვდილთან ერთად, ერთბაშდ ისინი ადამიანის ცხოვრებაც და ყოველივე ვაგრძელეა ჩვენი სულიერი ცხოვრებისა დამყარებულია ძალიან ხელ-საყრელ მოტყუებაზე და ხს. დას. ამ სახით, მთელი წლის შრომამ ცუდათ არ ჩაუარა სადუხანას; ღიზა გადადგა საკუთარი რწმენიდან, დაკარგა ყველა ის, რაც

ადამიანს ღეთაებრივ მზგავებსას უმტკიცებს და შეათვის-შეისისხლ-ხოცა კოლია — სადუხანების ჯოჯონეთური რწმენა-დაჯგერება... ღიზა ახლა სულ სხვა დარდი-მანდი ქალი შეიქმნა; ერთობ მალე გაეცნო საზოგადოებას და გაეცნო თვით საზოგადოებაც; სიცილ-კისკისი, ხტუნვა-როკვა, ცეკვა-თამაში — სიმღერები ჩინებულად დაიწმენა... ის ახლა, არა თუ არ უშლიდა კოლიას მქეიფე მიაბიქების მოყვანას და მათთან ქეიფ-ლოტობას, პირიქით ავალბდა კიდევ, რომ ხშირ-ხშირად ემართა სადილები მსმელ-მომღერალ-მთამაშე ყმაწვილების საპატრუცემლოდ და ამგვარ შემხებევაში სადილ-ვახშაშუ, ის თვითონ დაუხარებლად და ძალიან თავიანდაც მახატობდა და ხარბად იღებდა მონაწილეობას ღიზსა და შექცევაშიაც. ერთის სიტყვით, მას გაუტკბა ცხოვრება და კოლიასაც ეს მოსწონდა; აი, ეს არის მოსაწონი ქალისგანი რამდენათ ვაგვარჯიშდა ჩემი ღიზიკო, იმდენად შნო და ჯავარი მეგმატა! ვის არ შეეხარება და ვინ არ ინატრებს ახლა ასეთს მეუღლესო? — ჰეიქობდა ის გულში. ვარდა ამისა, ღიზა და ვანო, სადუხანას მოხერხებით, მჭიდროდ დაუკავშირდნენ ერთი-მეორეს.

ღიზას ნელ-ნელა შეეპარა სიყვარული ვანოსადმი, მაგრამ თან-და-თან შეიპყრო კი ამ მოულოდნელის სიყვარულმა. ის ისე გაიტაცა ამ გრძობამ, რომ უამსიყვარულოდ მის თვალში დღის სინათლესაც ვისი აჰქონდა; მის მეტის-მეტად სათუთი წარმოდგენა დაებადა ვანოს და მთელის არსებითაც დანებდა მას, არც ვანოს ეგონა, რომ ღიზას სიყვარული მას ამ ზომამდე შეიპყრობდა. ის ჰეიქობდა: დროს გასატარებლად დაახლოვებოდა ღიზს და ამა რას წარმოიდგენდა, რომ მხოლოდ ის დაბინავებდა მის გულში და მასთან ცხოვრება ჰეიერეთ აუცილებელი გაუხდებოდა.

ვანო, კოლიასაც ძალიან დაუახლოვდა და დაუმიანავდა; ასე რომ თვით კოლიასთვისაც აუცილებელი შეიქმნა ხშირ-ხშირად ვანოს ნახვა და დრო და დრო მასთან ქეიფი და დროს ტარება... ვანო მეტად შინაური კაცი

\*) იხ. შინ. საქ. № 28.

შეიქმნა კოლიას სახლში; დღე ისე არ გავი-  
 როდა, რომ დილით იქნებოდა თუ საღამოს,  
 ის ლიზასთან არ მოსულიყო და დიდ-ხანსაც  
 არ დაბრუნდებოდა მისთან. დღიური ნახვა ლი-  
 ზა და ვანოს თითქმის მოთხოვნილებად გაუხ-  
 და, რასაც ნათლად მხედავდა კოლა, მაგრამ  
 ამას ის ყურადღებას არ აქცევდა; ჰირიკით,  
 როცა სადმე გაემგზავრებოდა ლიზა, შორი ყო-  
 ფილიყო, გინდ ახლო; კოლია ვანოს პატი-  
 ყობდა კავალად, საიდან ღიზა და ვანო, ხან-  
 და-ხან სამი-ოთხი დღე არ ბრუნდებოდნენ შინ,  
 მაგრამ მოსულეებს, კოლა დიდის სიამით და  
 მზიარულობით უხვდებოდა. ერთის სიტყვით,  
 შეყვარებულნი დარწმუნდნენ, რომ კოლიასა-  
 გან მათ საწყენი არა შეხვდებოდათ-რა... ყვე-  
 ლათვის აშკარა იყო, რომ ღიზა და ვანოს  
 უზომოდ უყვარდათ ერთი-მეორე, მაგრამ  
 გრძნობდა თუ არა ამას კოლია, ის მაინც არა-  
 ფერს არ ამბობდა ამაზე... კოლია, საზოგა-  
 დოდ გულ-ამაყი და ფიცხი ადამიანი იყო, ასე  
 რომ, მისთან საქმის დამჭერს, არ შეიძლებო-  
 და მისდანი შორიდება არ დაჰბადებოდა, მთ-  
 ვრამ ამ შემთხვევაში, გაუგებარი იყო: ვანგებ  
 იხუტავდა ის თვალებს და სულ არავფრად აგ-  
 დებდა ამ საქმეს, თუ ის ისეთი ნდობით იყო  
 შეზერობილი, რომ ვერ ამჩნევდა, რა ხდებო-  
 და მისი თვალის წინ. ასე იყო თუ ისე, რამ-  
 დენად გადიოდა დრო და ჟამი ღიზა და ვა-  
 ნოს სიყვარული იმდენად უფრო ღრმად იდ-  
 გამდა ფესვებს და რამდენად ვანო იკავებდა  
 ღიზას გულში საუმჯობესოდ ადგილს, იმდენად  
 სჯულიერე მუდღელს ადგილი ეყარებოდა იქ.  
 კოლია თან-და-თან ეყარებოდა ღიზას თვალ-  
 ში ფასი და ბოლოს, ის მთლად გამოირცხუ-  
 ლი შეიქმნა ღიზას გულიდან... ცოტა ხანი  
 კიდევ და ღიზას, არა თუ დაეკარგა სიყვარუ-  
 ლი კოლიასადმი, ის დაბოლავევით შესძულ-  
 და კიდევ; შესძულდა ყოვლის მხრით; ასე  
 რომ როცა ის კოლიასთან მარტო რჩებოდა,  
 ჰიერი ვერ ჰყოფინდა სასუნთქავად; უნდადა  
 ვაკტეულიყო სადმე შორს, ძალიან შორს და-  
 ვკავებია მისგან თავი, რომ მისის სიახლოვით,  
 იმის სუნთქვით არ მოწამლულიყო. სამაგიე-

როდ, ვანოს ერთი წარმოდგენით ია-ვარდი იშ-  
 ლებოდა ღიზას გულში და მისი სიახლოვით  
 უმწვერვალეს ნეტარებას ჰგრძნობდა ის... ლი-  
 ზას შესძულდა ის სახლი, ის ქერიც, რომლის  
 ქვეშ ყოლია განისვენებდა და ამ სახლში დგო-  
 მაც ისე ეზიზღებოდა, როგორც თვით კო-  
 ლია; რის გამო ის მხოლოდ აუცილებელი სა-  
 ჰიროებისათვის მოდიოდა შინ; დანარჩენ დროს  
 კი სეირნობას და დროს სტარებელ ადგილებ-  
 ში სიარულს ანდომებდა, საიდან, ან სადაც უსა-  
 თუოდ მიჰყავდა, ან მოჰყავდა ვანო კავალად...  
 სადღუხანამ თავის ვალი გარდაახნა: და-  
 ვალებული შეისრულა, აიღო ხვედრი ფული  
 და მას შემდეგ ფეხიც არ შეუღდა მს კოლიას  
 ოჯახში. ის ძალიანს უმადლოდა თავის-თავს  
 რომ ასეთი ოინებით მშვენებულად ახერხებდა  
 ცხოვრებას: დასქირდებოდა, საწყლად მოიკა-  
 ტუნებდა თავს, დასქირდებოდა, მონაზუნად გა-  
 მობრძანდებოდა და სადაც დრო და შემთხვევა  
 ხელს შეუწყობდა, ქალ-მატონადაც გამოიქი-  
 მებოდა. ახირებულად მისი ადგება და დაბრა-  
 ყვება არაიყო შეფხლო, რადგანაც ქუესთან  
 ერთად დიდი მოხერხებაც შესწევდა და მისი  
 მოსწრებული სიტყვა-პასუხები მოპირდაპირის  
 შორიდებას იმორჩილებდა... მას საუცხოვოდ  
 უკვირდა კოლიას საქციელი და როცა მეზობ-  
 ლებთან მუსიადეს გამართავდა, არ შეიძლებო-  
 და კოლია სამასხაროდ არ აეღო და სიცილ-  
 კასკასით არ მოჰყოლოდა იმ ამბავს, როგორ  
 დაიბრძოვა მან კოლა, როგორ შეეპარა ღი-  
 ზას მონაზუნური სახით და დინჯე, პატიოსა-  
 ნი და საღმრთო ადამიანი გადაუჯიჯა ყოველ-  
 ვეარ კეთლ აზრებს... „საკოლავე კოლია!—  
 ამბობდა ის ერთ საღამოს თავისთვის ვარგა ხმა  
 მალდა,—ა ბრიყვი და სულელი შენა ყო-  
 ფილხარ? რაში მამღვედი ფულებს შე გიჟო?  
 შენისთანა ცალი ათი-ათასში ერთს არ შეგ-  
 დება და შენ კიდევ წუნობდი მის?!.. დაყატ-  
 და ცა და დედა-მიწა თავზე და თუ რამე ცო-  
 ლგები გიქნია, ადღულებული ზღვასავით გიდგას  
 წინ და არც შორსა და ის დრო, რომ ჩავთრი-  
 თს ამ კუბრის ზღვამ მის ფქტერში და ერთბა-  
 შათ დაგლუპოს ამიან-იმიანად. რათ გინდოდა



შე რევერო კოლო, რომ ფსი არ გკოდ-  
ნია?... იაფათ ისარგებლე ჩემთ, მარა ძვირათ  
დაგიჯდება მგონია... ჰი, რა სულელუბნია ეს  
მიმა-კაცები! ათასი წლის უკან თუ რამე მომხ-  
თარა, იმის გაგებას ცთილობენ და ჰგონიათ:  
ვითომ თვლით უყურებენ რამდენიმე საუკუ-  
ნის უკან მომხდარ ამბავს და იმას კი ვერ ამ-  
ჩნევენ, რომ ცხვირ-წინ თვალებს უყენებენ  
ქალები... კოლოას რომ შეხედო, იტყვა, რომ  
ამას არაფერი ხრიკები არ გამეფებარებო და  
იმას კი ვერ ხედავს, როგორ ყურით დაჰყავს  
კოლოს! რამდენი წერილები მაუღის რომ...  
მაგრამ შენც ნუ მომიკვდები! ყურსაც არ  
იბერტყავს; დიდკაცობს რაღა! ნდობის მაღალ  
საფეხურზე ასულია და ის კი არ იცის, რომ ქა-  
ლი ნდობით სარგებლობს; ის მაშინ გლალა-  
ტობს, როცა ნდობით შეიმოსემა. ვერ მიმხ-  
თარა, რომ ბევრი დაღუპული ამგვარი ნდო-  
ბით; არ ცოდნია, რომ ქალით დაღუპულს,  
ცეცხლით ვადამწვარ-განადგურებელი ჯობია...  
გიჟი—გიჟი, სწორეთ ახირებული გიჟი!... მე-  
კოდება, მარა ვისი რა ბრალისა? ის კი არა,  
გარიგების ზეთ, სასუქრებსაც მამლევა და  
ჩინებულს საკაბეც მამჩუქა, როცა დანახა, რომ  
მისი დედოფალი ბულგარში დასრიალობდა და  
წამდა-უწამ იკვლიდა სხვა და სხვა კავალ-  
რებს!... ვანოც ხომ ერთ ხათაბალოში გეგბა!  
არც იმას დეყურება ხერი... მაგრამ რა ჩემი  
სადარდელია? ხედრი ხო ვეიღე და აწი, თუ  
უნდა შევ ქვებდაც წოლტებია ფეხი!.. რა ჩე-  
მი სატირალია თუ იცია?!

—რა ამბავია ქალო, ვის ესბორები ასე გა-  
ჯავრებული? მე შეგონია, რომ ვინმემ ატკაზი  
გითხრა ნაჯაფზე და იმას უჯავრდებოდი—  
ჰკითხა მეზობელ—სუსანამ, რომელმაც უცბად  
კარი შემოაღო და დაცქერდა საღუბანას.

— ხა-ხა-ხა, აქა ყოფილხარ?... ატკაზი?  
მანამ თვალის დადგომია ჩემს მუჭტრებს! ატ-  
კაზს ვინ გამიბედავს?... მივას ვამბობდი ქალო,  
რომა ერთი ვიღაც გიჟი ჩამივარდა ხელში და  
მეხვეწებდა: „გ:ნდა არ გინდა, ცოლი ვადამი-  
როე!... რა ანგელოზი ქალი!

— მერე რა ქენი?

— ის ვქენი, რომა სამოთხეს მოეწყვიტე  
და ჯოჯოხეთში გადავისროლე.

— ფა-ფა-ფა, რიცხაი ფარსაკი არ არის!

— ვა! ჩემი რა ბრალისა? პირნათლად შე-  
ვისრულე პირობა.

— ხო არ მოუტყუებხარ ნაწრომში?

— აბა! მეტიც მომცა; ეს კაბაც გარი-  
გების ზეთ მამჩუქა.

— ვინ ყოფილა ასეთი გიჟი? ქკუაზე ხო  
არი?

— აბა რა ვიკითხო მაგისი ქკუა! მტრე-  
დი ხელში ყავდა და მანამ მამებია, სანამ შა-  
ვი ყორნათ არ გადავადულე.

— ბედნიერი! კაციც არ ყოფილა, რომ  
ქალი შ:ნ ჩაგიგლო ხელში; განა არ ვიცი რა  
ხეირსაც დააყრიდა!... ვანო სად არის თუ  
იცი?... რა ხანია, რომ აქით არ გამოუქაქანე-  
ბია.

— ხა-ხა-ხა; მაგ ქალს გადავიკიდე. ისე  
არიან ეხლა, რომ ერთი-მეორის შხეს ფიცა-  
ვენ.

— ჰაი, ჰაი!..

— მაშ; ბრალი არ იყო, რომ ისეთი ყმა-  
წვილი-კაცი უფულოთ და უსაყვარლოთ ყო-  
ფილიყო? ახლა ფულრიც აქვს და ყველაფე-  
რიც.

— ფულს ვინა აძლევს საღუბანს?

— ქალი აძლევს ქალო — საყვარელი;  
მისთვის სიცოცხლე არ შურს და ფულს და-  
ხოგავს?

— მობრუნებულია მისი საქმე.

— მობრუნებულია და ვინ მოაბრუნა?...  
როცა მშინი იყო, ყოველდღე აქ ვგლო და

თვალ-ტრემლიანი მეხვეწებოდა საცხოვრებელი  
მიმეცა; ედემის ბაღში ჩავსვი და ეხლა ჩემს  
სახლში ქულიც შეუგდო ერთს არ შემოიხე-  
დავს; მაგრამ ჯერ წინ არის მისი საქმე! მაგან  
რა იცის, რომ საღუბანსა საქმეს ისე თვის  
დღეში არ ათავებს, რომ სამერმისოთაც საქი-

რო არ იყოს; გაუქმრდება, მობრძანდება და მაშინ მე ვიცი რასაც უზამ!

კირილე წუთისოფლელი.

შემდეგი იქნება.

### კვირიღამ-კვირამდე.

სამღვდლო და სადაცკნო პირების გამოცდელ კომისიაში მორიგი ეჭამენი 10 ოკტომბერს იქნება.

სტოლიზინის მკვლელს ბაგროვს დამცველ პოლიციიდან 185 მანეთი ჯამ-გირი ჰქონია თვეში, გარდა რომელიმე განსაკუთრებულ შემთხვევისა.

აქვე ვასწორებთ № 29 შეპარულ შეცდომას იქ ჩვენ ვამბობდით ბაგროვი რუსიაო, გარან ებრაელი კი ყოფილა.

სტოლიზინს თავის ანდერძის პირველ მუხლშიდ ჩაწერილი ჰქონია: „მე ვთხოვლობ იქ დამარბონ, სადაც მომკლავენო“. აქედან ცხადად სხანს, რამდენათ ყოფილა იგი დარწმუნებული იმაში, რომ მას უთუოდ მოჰკლავენ.

გაზ. „Голосъ Москвы“ გამოგვეცემს, ილიოდარი კარიცის სტოვეს და თავის მოქმედება როსტოვის ოლქის სტანიცა ალექსანდროვკაში გადააქვს. ვიდაც დენისოვის ქალმა ილიოდარეს მიაართვა ახალი მონასტრისათვის 200 დეს. მიწა.

სპარსეთის ყოფილი შახის საქმე, როგორც იწერებიან ცუდათ არის. უკანასკნელ ბრძოლაში მან თითქმის სრულიად წააგო ომი, დაჰკარგა, როგორც ამბობენ, თავის უნტრო-

სი ძმა და თითონ კი სიკვდილს გადაარჩა ნამეტანი ნისლის მეოხებით.

სტოლიზინის მკვლელი ბაგროვი ჩამოაბრჩევს (დაწვრილებით ამბავი იხ. ამავე ნომერში).

აქ ჩამობრძანდა იმერეთის საეკლესიო მკოლების მეთვალყურე ბ. ჟორდანია, რომელმაც მოახსენა მს მეუფებას, ავთომოფოზის შემდეგ მე 17 სექტემბერს დაგბრუნდი და სამსახურის ასრულებას შეუდექით. ბ. ჟორდანია სამსახურში დარჩებოა, ამბობენ, სანამ სენოლი მის სამსახურიდგან გადადგომის თხოვნას არ გააჩვენებოა.

„Нов. Время“ გამოგვეცემს, რომ ბაგროვი ხმლით თავში დასტრა სპირიდოვიჩმა, რომელიც იმედოვნებდა, რომ თუ ბაგროვი მოკვდებოდა, შესაძლებელი ვახდებოდა მისი დამცველ განყოფილებასთან დამოკიდებულება დაფარულიყო.

ზუგდიდიდან „ზაკავაზ. რეჩის“ კორესპონდენტი იუწყება, რომ იქ ჩამოსულა ვიდაც კლანდაძე და გაუმართავს ცირკი. მოუწვევია „ჩამპოინები“ მთელი ქვეყნსა 10 ქალი და მართავს ჰილაობას, რომლითაც ისედაც ღატაკ მცხოვრებთ უკანასკნელ გროშს ართმევენ. ეს კიდევ არაფერი. თურმე ესენი გახლავს არა მართლა ჩამპოინები, არამედ გარყენილები, რომლებიც გაფანტულან სასტუმროებში და ღებულთბენ იქაურ ახალგაზრობას და მოხუცებულთსაც. ყოფილა ერთი შემთხვევა, რომ ოთხი კაცი და ერთი მღვდელი დაიჭირეს „ჩამპოინ კალებთან“. საბრალო მღვდლისთვის უკანასკნელი გროშიც ამოუბრძვიეთა შიშით, რომ უმაღლეს სამღვდლოებასთან გიჩიდებთო. საკვირველი ის არის თურმე, რომ ადგილობრივი ადმინისტრაცია სრულებით ყურს არ უგდებს ამაებს და პირიქით ხელსაც უწ-



ყოფს მათ. თვით ბოქალელი ხელდახელ ასაღებს ცირკის ბილეთებს თავის საბრძანებელში და ვინ აქნება ისეთი უჩრჩი, რომ არ შეასრულოს თავის ბოქალის „თხოვნა“. ასე მოგვითხრობს „ზ. რ.“-ში კორესპოდენტი ბანი „ზუგდიდელ“. საჭიროა ამას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს სადაც ჯერ არს; მით უფრო, რომ ეს საზიზღრობა ეხლაც გრძელდება და მერე აპირებენ სოფლებში გასეირნებასო, სადაც იქვე არ არის, ისარგებლებენ სოფლის მცხოვრებთა უვიცობით და ტყავს გააძრობენ ისედაც გაძვირ-ტყავებულ ხალხს.

სახეირიდან გაზ. „კოლხიდას“ ატყობინებენ შემდეგ სამწუხარო სასულიერო წოდებაში არა ჩვეულებრივ ამბავს:

სოფ. გეზრულში (შორაბ. მაზ.) ცხოვრობს ღვდ. ტყემალაძე, რომელიც უკვე 60 წლის მოხუცია და ცოლად ყავს შედარებით უფრო ახალგაზდა ქალი. ქალს კავშირი ქონია იმავე სოფლის ახალგაზდა გლეხთან. როცა მათი საქმე გამოემუდგნებოდა და სოფელში მითქმამოთქმა შექნილა; ქალს ეს სამარცხნიოთ მიუძღნებოდა და ერთ დღეს, როდესაც გლეხი, მასთან მიდიოდა, თოფი გადმოუღია და გლეხი ფეხში დაუჭრა, საქმე სასამართლომდომი მისულა მაგრამ დაკითხვის შემდეგ, ქალი გაუნთავისუფლებიათ. გასულა ხანი კავშირი კვლავ გაგრძელდებოდა. კვლავ სოფელშიც დაუწყაით ქალის ქარდვა. გასულ კვირას ღვდელი შინ არ ყოფილა. — და ის გლეხი ქალთან გამგზავრებულა. მიმდარა თუ არა ფანჯარაზე, თოფი აუღია და გლეხი იქვე მოუკლავს. ქალი დააპატიმრეს და სახერის საპატიმროში ჩამოიყვანეს.

## ბაგროვის სიკვდილით დასჯა.

სტალიონის მკვლელი ბაგროვი მოიყვანეს „Лысая гора“-ზე ღამის ორ საათზე.

აქ უკვე შეკრებილი იყვნენ პოლიციის და სამსახურლოს მოხელენი, აქიმი, რაბინი და ოცზე მეტი მოკავშირენი, რომელთაც განსაკუთრებულნი ნებართვა მიიღეს დასასწრებათ.

სექტემბრის 11-ს საღამოდან დიწვეს შემზადება „Лысая гора“-ზე დასდგეს სახრჩობელი. მის გვერდში გათარგნს საფლავი; გამოიწვიეს ჯალათი სურვილისამებრ.

ჯალათობა თავს იღვას ერთმა ლუკიანოვის საპროზონილეში მყოფმა საკატორღე ტუსაღმა იმ პირობით. რომ შემდეგ სხვა სატუსაღოში ვაღაფუენათ, რომ ნაცნობ კატორღელებს არ მოეკლათ იგი.

დასასჯელი ადგილი პოლიციამ წინაღლითვე დაათვლიერა და ასი ყაზხი და ერთი როტა ქვეითი ჯარი შემოარტყა.

დანიშნულ დროზე ყველა; ვისაც კი ეხებოდა რამე ამ საქმეში, გამოცხადდა. დაესწრენ: პროკურორის ამხანაგი, სამსჯავროს მდივნის თანაშემწე, ქალაქის აქიმი, რაბინი, პოლიციის მესტერი, ორივე მისი თანაშემწე, ხუთი ბოქალელი და სხვა ბევრი პოლიციელები.

შემარჯვენე კავშირთა წარმომადგენლები, რომლებმაც ნება ითხოვეს სასჯელს დასწრებოდნენ, რომ თავის თვლით ეყურებიათ ბაგროვის სიკვდილით დასჯისათვის, ნება მსცეს ახლოს დასწრებოდნენ. ში კაკამდე თავშეყრილი იგინი სახრჩობელას შორიახლო იდგენ. ყველაზე წინ სავენკო იდგა.

მოვიდა საპროკურორის კარტეა. ორმა დარაჯმა გადმოიყვანეს ბაგროვი. ბაგროვს ბორკილი არ შქონდა და თავი ვაზნეიადებულ მშვილობიანათ ეკავა. მას იგივე ტანისამოსი ეცვა, რაც თეატრში.

როცა ბაგროვი კარტიდან გადმოსვებს პროკურორი მიუბრუნდა მოკავშირეთა ჯგუფს და ბაგროვისკენ ხელ გაშვერილი შეეკითხა მათ: „სტალიონთ თუ არა, ბატონებო? ეს ხომ ისაა? —

— ეს ისაა. მე ხომ ტეატრში მის ძალიან მიგებრტყე.

— იგია, და იმავე ფრკში... და სხ. გა-

იგონა თუ არა სიტყვა „ფორაკი“, ბაგროვმა ძალდატანებულად ირონიით სთქვა:

— დიახ, ბევრ ჩემ ამხანაგებს შეეხარებოდა, რომ მე ამოდენ ხანს ფრაკს ვატარებდი.

შემდეგ მღინის თანამემწემ წაიკითხა განაჩენი. ბაგროვმა მშვიდობიანად მოისმინა იგი.

პროკურორის თანამემწე შეეცაობა ბაგროვს, თუ რამე სურს უთხრას რაბინს.

— მსურს, მხოლოდ თუ პოლიცია არ დამესწრება.

— ეს შეუძლებელია.

— თუ მაგრება, შეგიძლიათ საქმეს შეუდგეთ...

— ბაგროვთან მივიდენ და ხელები უკან შეუკრეს. სასჯელის ადგილი ჩირადღენებით იყო განათებული.

ბაგროვი მიიყვანეს სახრჩობელასთან. ჯალათმა ჩაღრი ჩამოახურა. ჩადრიდან გამოისმა ხმა ბაგროვისა: „თავი ავისწიო, თუ რა ვქნა?“

ჩამოვარდა საზოგადო სიჩუმე. ჯალათმა მიიყვანა ბაგროვი სახრჩობელასთან და შეაყენა სკამზე; შემდეგ მარყუჟი გადააცვა და სწრაფი მოძრაობით გამოაცალა სკამი ფეხქვეშ... არავის ტრთი სიტყვაც არ დასცდენია. ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ მოკავშირეთა ჯგუფიდან გაისმა ხმა:

— ნუ გეშინია, მეტს ვეღარ გაისვრი... ვიღამაც შეაკრათ შეაყენა;

— ესლა ლაპარაკის დრო აღარ არის...

გავიდა დადებული 15 წუთი. ჯალათმა გადმოხსნა ბაგროვი, მივიდა აქიმი და მას მიჰყვა მოკავშირეთა ჯგუფი. აქიმა დააბოწმა სიკვდილი. მიცვლილი საფლაფში ჩაუშვეს, დააფარეს ფიცრები, დააყარეს და გაასწორეს მიწა.

დილის სამ საათზე ყველაფერი უკვე გათავებული იყო.

# რას გეჭიქენ? შოთილან

— მამო რედაქტორო! უმორჩილესად გიხვოვთ ამ ჩვენს წერილს ადგილი დაუთმობთ თქვენს პატრეცემულ გაზეთ „შინაურ საქმეებში“.

მ ამა თვისას ღვთის მშობლის შობის დღეს ქალაქ ფოთის ნ. ლოლუას ასულის პროფესიონალურ შკოლის სადმართო სჯულის მასწავლებელი მ. გიორგი გეგეპკორი, შკოლის გამგე ნ. ლოლუა, მასწავლებელნი აგრაფინა კანდელაკი და სხვა მასწავლებლები შკოლის მოწაფე ქალიშვილებითურთ დილით ფოთიდან გავემგზავრებით ეკსკურსიით მოსალოცვად თეკლათის ღვთის მშობლის დედათა მონასტერში. ამ დღეს ადგილობრივ მღვდლებმა შორის მწერებელი იყო მ. გიორგი გეგეპკორი. წირვაზედ მწყობრად ქართულად გავლობდნენ მონასტრის დები და მათთან ჩვენი შკოლის მოწაფენიც. წირვის შემდეგ მ. გ. გეგეპკორმან დღესასწაულის დღის შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა და ბოლოს სავანის დებს მიულოცა. მათგან სავანის გამგედ ახლად გამოწვეული დედა ნინო ილუმენიას ხარისხზე აყვანა. ბოლოს სიტყვით მიმართა თვით პირად დედა ილუმენიას, მიულოცა მონასტრის გამგებლობა და ილუმენიას ხარისხზე აყვანა. უსურვა ტვირთმძიმე მოვალეობა მისი ღვთის სახელით განამართლოს სათნოდ ღვთისა და სასარგებლოდ ქრისტეს მკლესიისა.

რადგან ადგილობრივ ორკლასიან შკოლის შეკეთება უკვე მოსრულებული იყო, ამისთვის ამ დღეს ნაწირვეს შკოლის შენობაში ყველას თანდასწრებით სწავლის დასაწყისი პარაკლისი გადამდილ ქვანა ადგილობრივი მღვდლის მ. პეტრე ბაკურაძისაგან. აქაც მ. გიორგიმ თანახმად დედა ილუმენიას თხოვნის ადგილობრივ მოწაფე ქალიშვილებს დამოძღვრებითი სიტყვით მიმართა და ყველა მოსწავლე და მასწავლებლებს დაურთო ნაკურთხი





პატარა ხალხები და ჯერები გულზე დასაკი-  
დი. შემდგომ დედა ილუშენია ნინომ, თვითონ  
დაგვარონია და გვაჩვენა ყველა ეკლესიის და  
მონასტრის შესან "ზნაე" სანახავეში. შესანიშნავი  
სანახავია წმ. ძველ ათონიდან მოსვენებული დი-  
დი ღვთის მშობლის ხატი და ეკლესიის სიწმინდე  
მორთულობანი. აგრეთვე საუცხოვო სანახავია  
წყაროს წყლის შორედან მონასტერში ამოსა-  
ტანი მანქანა და იქაურ მოსწავლე ქალი-  
შვილებთა ხელნობა: ნაქარგი, ნაქსოვი და  
ნაკერი ფესსაცმელება. მონასტერს დიდი მშრო-  
მელი და მოღვაწე ხელი ეტყობა.

დედა ილუშენია ნინო ამზადებს ადგილო-  
ბრივ შკოლის ეკლესიას საკურთხად. კანკელის  
და აღსავლის კარისთვის დახატული ხატები ოკ-  
ვე დამზადებული აქვს, მარა სხვები ჯერ-ჯერო-  
ბით აკლია ახალ საკურთხეველს. მონასტერს  
შესაფერი შამოსავალი ნავთიერ საშეაღე-  
ბით ეტყობა არა აქვს და ეს აფერხებს  
ცოტათი საქმეს. დედა ილუშენია და დანი მო-  
ნასტრისანი ღვთის სახელით და კეთილ მო-  
სურნე და შემწე პირებთა იმედით გულს მა-  
ინც არ იტებენ მონასტრის წინ წაწევის და  
განშვინების შესახებ და დაუღალავად ზრუნავენ  
მონასტრის საკეთილოდ. დიდს მადლობას ვსწი-  
რავთ დედა ილუშენია ნინოს და მონასტრის  
დებს ჩვენი მიღებისა და უზომო პატივისცე-  
მისათვის. ამ დღეს სადილის შემდეგ ოთხ სა-  
ათზე დედათა მონასტრიდან ჩვენ ჩვენის მოწა-  
ფეებით წამოვედით მამა მღვდელმონაზონ ალექ-  
სისთან. აქ მოსვლაშეც დიდი ზნეობრივი გავ-  
ლენა იქონია ჩვენზე. პირველად ეკლესიაში  
შევედით, რომლის საუცხოვო სისუფთავემ გა-  
გვაკვირვა.

მერე მამა გიორგის წინამძღოლობით მას-  
წველდებლემ ვინახულეთ თავის კელიაში მამა  
ალექსი. სწორეთ მოგახსენეთ მისმა ნახვამ  
და მისთან საუბრობამ სულიერად აღგვართო-  
ვნა. მ. გიორგიმ სთხოვა მ. ალექსისი ექსკურს  
სანტ მოწაფეთა ნახვა და მათი კურთხევა. მ.  
ალექსი სიხარულით გამოვიდა თავის კელიი-  
დან ეკლესიის კარიბჭის წინ შეკრებულ მოა

წაფებთან და ყველანი აკურთხა, დალოცა და  
დამომღვრა შესაფერი სიტყვებით. აქვე ვინა-  
ხულეთ მამა მღვდელმონაზონი დღოთვე, მო-  
წაფე მამა ალექსისი, ერობანი დიმიტრი ვაჭა-  
რავა, რომელმაც დაუტევა ვაჭრობა და სამ-  
კვიდრებელისაგან თვისისა აღაშენა აქ აგურის  
მშენიერი ტაძარი და დღეს ისიც აქ მოღვა-  
წეობს.

სალამოს ახალსენაკის საღვრიდან ყველა  
ექსკურსანტები ღვთის მადლით მშვიდობით  
და დაუბრკოლებლად სულიერათ ნასამოვნე-  
ბი ჩამოვედით ქ. ფოთში.

მასწავლებელი ა. ჯ.

### კრიტიკული შენიშვნები.\*

(ღუტე შეკრეფის შათხრამაწი და ფექსებია 1901 წ.

#### Y.

სიყვარულზე, ქალის ტრფობაზე ღუტე  
მეგრელს ძალიან ცოტა ლექსი აქვს დაწერი-  
ლი. ორი, თუ სამი და ისიც უქნიშენლო,  
რადგან ვერ ახასიათებენ, სავსებით ეს ლექსნი  
არ აშკარავენგან ავტორის ინდივიდუალურ სურ-  
ვილებს და მისწრაფებს.

საგანი კი ისეთია, რომ პოეტს, მიუცი-  
ლებლად, უნდა გამოეთქვა თვისი შეხედულო-  
ბა, დაეხატა თვისი მხატვრული ნიჭი ამ სფე-  
როში და ჩვენც შეგვეძლო უფრო ახლო გავ-  
ცნობოდით მას, ვითარცა მგოსანს. ქალის  
ტრფიალი და სიყვარული ისე, როგორც მა-  
მულის სიყვარული, ყოვლად უმანკო, ბუნე-  
ბრივია და ამასთანავე დაუშრეტელი წყარო  
აღამიანის მჩქეფარე საცოცხლის, სულის და  
გულის მოძრაობის, ნიჭის, შემოქმედობის ძალო-  
თა შემქნელი, დამბადებელი, ამპრაღებელი.  
აქ ყოველი მხატვრული ტალანტით დაჯილ-  
დოებული მწერალი და მგოსანი გამოსთქვამს  
თვის საკუთარს აზრებს და გრძნობებს, სურ-  
ვილებს, დახატავს თვის ვინაობას და შექმნის

\* იხ. „შინ. საქ.“ № 29.



ერთს ძვირფას თაიგულს, რომელსაც კრიტიკისთვის მეტად ძვირფასი, დიდი მნიშვნელობა აქვს.

მოგეხსენებათ, ხელოვნების სამფლობელოში მგოსანი სრულიად დამოუკიდებელია, თვით-მყოფი და მსგავსი მას თითქმის არც მოეგობება. ამიტომ შემდგარი ბრძანებები ის კრიტიკოსნი, რომელნიც ბრძანებენ რომ სიყვარულის და სამშობლო ქვეყნის სიტურფე, შევნიერება უკვე დახატეს ძველმა პოეტებმა და ახლანდელეებს აქ სათქმელი სრულიად არაფერი აქვთო. ვინ მოახსენათ, ნეტავ, ამ ვ-ჟ ბატონებს ასეთი ხელის-ხელ საგომანებელი მარგალიტები!.. სიმართლე უნდა ვთქვათ, რომ ძველი პოეტები საკვებით არას დროს აქ შეხებიან ჩვენი გასაოცარი ქვეყნის გასაკვიფრებელს, დიდსა და მდიდარს, მრავალ-ფეროვანს ბუნებას, არ დაუხატავთ მხატვრულად ამ ქვეყნის საარაკო, ლეგენდარული წარსული, მისი შევენება და გმირობა, რომელიც უკვდავების შარავანდელით არის აღბეჭდილი ისტორიაში..

თუ მართალი გნებავთ, ჯერ ქართული ლირიკის ღირსეული, გენიოსური მსახური არც გაჩენია, არც ჩვენი ქვეყნის, ზღვისა და ხმელეთის, არც სიყვარულის დამხატველ-შეგნების დამსურათებელი, ჩამომსხმელი, მკვდრეთით აღმდგენელი. ქართული თვით-მყოფი, ორიგინალური ლირიკის გენიას ჯერ კიდევ ღრმად სძინავს სამწერლო ცხოვრების მიყრუებულს ზღვებზე და კაცი არ არის, ახალი გზების მიჩვენებელი მუჯღღუგნები წაკრას ამ გენიას გამოსალვიძებლად, აღსადგენად და მადიანად დამარაგებულ მოღვაწეობისათვის..

დღუტუ მეგრელი თვის ლექსში „სიყვარული“, რომელიც ამ სიტყვებით იწყება: „აწმყაზე სრულად გამიტყდა გული“, ასე ამბობს აკაკის მიზანძივით:

... როცა შემოიყარ შენ, სიყვარული,  
და ვარდაპქენი ჩემი არსება;  
კვლავ მომეც ძალა, მიცოცხლებელი,  
კვლავ მოანიჭე ჩემს სულს ღვთაება;  
კვლავ დაუბრუნე გულსა იმედი,

კვლავ ბნელს სიცოცხლეს სხივი მოჰმინე და კვლავ გაიხადე კაცად ღვთის ხატად, კვლავ გაჩაახოე, კვლავ აღმადგინე!..“

დღუტუ მეგრელი იძებს „სატრფოს“, რომელსაც მიიდა გრძნობებით გამსჭვალულს გულში სიყვარული აფეთქებია და ამ სიყვარულს ერთმანეთს აგებინებენ, კირსა და ლხინს ერთმანეთს უზიარებენ.

„ვიცა გეყვარვარ,  
იცი, მიყვარხო,  
და მეტა, სატრფოე ჩვენ რაღა გვინდა?..“

პოეტის სიყვარული სხვების სიყვარულს არა გაეს, იგი ამბობს: არა მსურს:

... რომ ჩემს მიჯნურს  
მე ვახსოიდე ერთად ერთი,  
კერზად მთვლდეს,  
დააიწყდეს

ძირს ქვეყანა, მალღა დმერთი!  
მაშ რა მინდა?

— აზრი წმინდა,  
მიზნი რომ გვექონდეს ერთი,  
რომ ერთს საგანს  
ვექმედოთ თავყანს,  
იყოს ჩვენი შემეერთი..“

პოეტი ავად იხსენიებს იმ „რიგიანობის კანონს“, რომელიც შეყვარებულთ უშლის გრძნობების და ფიქრთა გაზიარებას და, როცა ერთმანეთს შეხვდებიან იძულებული არიან ჩუმად, ქურდულად ერთმანეთს გაუღიანონ:

... მაგრამ, ვინ უწყის, რამდენის  
მთქმელია იგი ღიმილი?  
ხშირად ბევრ სიტყვაობაზე  
უფრო მქვერმეტყველობს ღუმილი!..“

დღუტუ მეგრელს დაწერილი აქვს ლექსი „მე და ის“, სადაც მას გამოუხატავს თვისი სიყვარული და ლამაზ გოგონასთან ერთად თამაში და ცუქობა, რომელიც, ბოლოს, სიყვარულადაც გადაქცეულა. მაგრამ განვლო დრომ; ეს ორი არსება, განშორებულნი, ერთმანეთს შეხვდენ და ვაჟი აღტაცებით, მოსიყვარულე გულთი მიესალმა, ის კიო... შეხვდა



გულცივად, ძველი გრძობის ნატამალიც კი აღარა სჩანდა!

„... ჩამომავლობა, მიმართულება, ფეჭი, სურვილი, აზრი და რწმენა ჩვენ გვეწოდენ სხვა და სხვა მხრისკენ, — აღარაფერი გჭკონდა საერთო და ჩვენც გავშორდით იმ წამს ერთმანეთს, გავშორდით ახლაჲკი საუკუნოდ!“

პოეტი ორს ლექსს უძღვნის ტ — პირადად ჩვენ ბედნიერები ვართ, რომ შევერთოდით და ერთის აზრით ვსულდგმულობთო. მაგრამ, საყვარელო, გვახსოვდეს ყოველთვის

„ რომ უბედურთ უნდათ შვილა და, ვცდილობდეთ, ჩვენს ვარშემოც ბედნიერი იყოს ყველა.“

წრფელი გულით დაწერილი ლექსია მეორეც, სადაც დღურე ეუბნება საყვარელ არსებას, რომ თუ „მწარე ხვედრმა“

მართო მყოფიც ვერ დამძალა, როს შენ მშველი და მაშხნევებ მომერევა რაღა ძალა?..

ვაჰ, რომ ვიდრე არ დავბერდით, ერთმანეთი არ გვიჩხავს;

ვაჰ, რომ ჩვენი სიყვარული შემოდგომის ყვივისა ჰგავს! მაგრამ რა გქნათ? სულ არ ყოფნას, გვიან იყოს არა სჯობს ის?

გაზაფხულის ბევრს ყვავილზე უფროც შეენის შემოდგომისი..“

გამწარებულ შხამ-ნადევლით აღსავსე ცხოვრების და სასოწარკვეთილების უსახლერო მდგომარეობის („პატარა სიმღერები“) დროს დღურე მეგრელს აქვს მეტად კეთილი გული და გუნებზეუ დამყენებელი, გამამხნეველი სიტყვები, რომელნიც კვიანურს და გრძობიერს რასმე გეტყვიან და გაგამხიარულებენ. იგი შეურიგებელი მტერია აგრეთვე ბიუროკრატიისა (აღა, არბა ვარ\*) და მდიდრებისიც, რომელთა წინააღმდეგ გულის დამსწრავი, გამწარებული სიტყვებით დაწერილი ლექსები აქვს...

შემდეგი იქნება.

\* ბატონო, სათხოვარი მაქვს.“

ანიგეზული ჰირეველოზა.

(პასუხად მ. ი. ნიკოლაძეს.)

ზოგიერთმა უხეცა და უხსისათო ბავშვმა იცის, რომ აიჩემებს უზრალო რასმე, კაჭირეუ ჯდება და აიტენს ტირილს, მისი გაჩუმება აღარაფრით აღარ შეიძლება. ხედ რომ გადაკვდე ამ დროს, ქვეყნის თვალ-მარგბედიც რომ შეაძლიო, ხელს არ მოკიდება და არ გაჩუმდება, სანამ თავისას არ იპყის.

ამისთანა ბავშვს მკანებს მ. ნიკოლაძის საქციელი და მისი პასუხი კაცეთ „შინაური საქციელების“ № 26 მოთაფსეუელი, ჩემდამო და მ. რედაქტორასაღმე მომართული. იგი დაჟინებით ბძანებს, რომ მას ჩემთან. ე. ი. „ფინიუსთან“, აქვს საქმე და არა რედაქტორთან. ახირებული ეჩინანობა და საქციელი, თუ გზებავთ, ეს არის და არა ის, რომ „შინაური საქციელების“ რედაქტორი თვისი მოფაღაობისამებრ თვითონ გამოდის პასუხის მკებლად თავისი გახუთის თანამშრომლის მკიერ. გზნა ესეც გასაგებრეელია?

მ. ი. ნიკოლაძის პასუხიდან აშკარად სჩანს, რომ მას აინტერესებს და საქმის ვითარება, არამედ ჩემი პირადობა. მას უნდა, უეჭველად შეიტყოს, ვინ არის „ფინიუსი“. ეს უზრალო ბავშური ჭირვეულობა და ეჩინანობა, მეტად არაფერი. ამით საქმე ჭინურდება, თორემ მ. ი. ნიკოლაძეს კარგად უნდა მოეჩინებოდა, რომ თუ ეი რედაქციას და რედაქტორს თავისს თავზე მიადებს პასუხის მკებლობას, მაშინ მას ფსევდონიმთან საქმე არა აქვს, მისთვის უეჭველად დამამყოფიებელი უნდა იყოს, როცა რედაქცია თავისს გახუთში მოთავსებულ წირილების გამო პასუხს უგებს სამედაიტროს სასამართლოში, რადგან თუ ვინმეც ცილი დასწამა მ. ნიკოლაძეს, ეს მოხდა გახუთის „შინაური საქციელების“ ფურცლებზე, რომელთაცაგანც მას აქვს პირ-და-პირ საქმე. სოლო ამ გახუთის რედაქციას ეი ჩემთან. რედაქტორს ეი უფლება აქვს მე მკებანოს პასუხი განიანის წინაშე, მკეთუ მე იგი შენდომში შეკიფხნე და სწორე ცნობები ვერ მივაწოდე. ამში ჩვენ გამოფსწორებით და მ. ნიკოლაძეს კი რა აწუხებს. იგი ველ-

დებულება, თუ კი მართლაც თავს შეურაცხყოფილად გრძნობს, დაემორჩილოს რედაქტორის წინადადებას და გაუყოს მას სამედიატორო სამართალში. მაგრამ არა. იგი ჭირვეულობს და თან ორჭოფობს. შე სამედიატორო სსსმართლობაში მიწვევს, სოლო მ. რედაქტორს კი კანონზე უთითებს და სამოქალაქო საბივრით ემუქრება. ეს რას ნიშნავს, ვერ გამოვიგნა? თუ კი მ. ნიკოლაძე ზინაინიზაციას და თანხმას სამედიატორო სსსმართლობის და მისი მსჯავრით გამოეფილდება, აქ ორი აზრი შეუძლებელია. სსსს მ. ნიკოლაძეს ჩემი პირივითაა ანტირესებს და არა თავის გამართლებას.

ჩვენ პირველ წერილებში აღვნიშნეთ ერთი უკუდამართი მოვლენა სამედიატორების ცნობრებაში და შევეხეთ მ. ნიკოლაძეს იმდენად, რამდენადაც მისი პირივითაა დაკავშირებული იყო სსსოკადო ხმებით ამ მოვლენასთან. მაშინ ვურჩიეთ მ. ნიკოლაძეს ეს უმართებულად სხემი გაუბათლებია რამე ნაირად და ამით თავისი თავიც გაუმართლებია და სამედიატორებზე გამოეხსნა უნდა აღბისაცან. ჩვენი რჩევა კი მან ცილიც წამებად და ჭირვანად მიიღო. ახლაც გულწრფელად გურჩევთ მ. ნიკოლაძეს ამასვე. ამით მას უფრო მეტი დირსება მიუმატებს სსსოკადოების თაფლი და სამედიატორებზე პირმოწმენდილი დაჩრება. ამას მოითხოვს სსსოკადო ინტერესი. ახლაც თუ მასუს ვაძვეთ მას, მხოლოდ ამ მიზნით და არა ცნუი განზრახვით. ჩვენ არ გვირდა მისი არც შეურაცხყოფა და არც დასჯა. პირ-ივით უკვლავ დიდი მოხარული იქნება და პირდაპირ ჩემთვის დიდი სასიამოვნო, თუ კი მ. ნიკოლაძე ამ საქმეში გამართლებას.

აქედან ცხადია, რომ მისი მოპირდაპირე და ცილის მწამებელი ჩვენ კი არა ვართ, არამედ სსსოკადოება, რომელიც მის შესახებ შეთხზა ეს ხმები. ჩვენ მხოლოდ წილად ვგებდა ამ ხმების საქვეყნოდ გამოტანას გაზეთის საშუალებით, რომ ამით ბოლო მოკვედო უსაფუძვლო მითქმა-მითქმისათვის. თუ დაკავისებს, ჩვენ ამ შემთხვევაში მისი კეთილის მეფიელი ვართ და არა პეტრო და ორტულო. ჩვენი ინტერესის მხოლოდ, დაუმტკიცებლობა სსსოკადოებას, რომ სამედიატორების არჩევნების დროს არავითარ უზნეო და შეუფერებელ საქმიელს ადგილი არა აქვს და არც მ. ნიკოლა-

ძის არჩევნის დროს მომხდარს ამგვარი რამ. თუ ეს დაგმტკიცეთ, მ. ნიკოლაძეც გამართლებული იქნება და ჩვენც. მაშინ საკუდურებისა და გაკაცების მაკავრ მადლობაც გვეუთხნის მ. ნიკოლაძისაცან, რადგან ჩვენ გაძველეთ იგი უსაფუძვლო ხმებიდან განთავისუფლებულიყო და პირდაპირ წამდგნოყო სსსოკადოების წინაშე. სოლო თუ წინააღმდეგე დამტკიცდა, მაშინ კი ჩვენც და ჩვენთან ერთად მთელი სამედიატორებაც ჩარქმ-მცხებულად და მსრცხვებელი გამოვალთ სსსოკადოების წინაშე და მსრცხ უფლება ექნება უნდა აგვოდოს და გვლანძლოს.

ამის შემდეგ განს სულ ერთი არ არის; ვინ გამოვა მ. ნიკოლაძისთან სამედიატორო სამართალში მოპირდაპირე? საქმე მხოლოდ თავის მართლებასშია, თორემ ჩვენის ფიქრით სულ ერთია, თვითონ მ. რედაქტორი იქნება მისი მოპირდაპირე, თუ მისი გაზეთის თანამშრომელი „ფანიუსი“. ჩვენ აქ ვსებადეთ მხოლოდ უბრალო გინიზობის და ცნობის მოყვარებას, რომ რა არის, მ. ნიკოლაძემ, გაიგოს სხვისი სასელი და გვარი, თორემ არც მსპირთობა და არც საქმის ვითარება არ ითხოვს, მაინც-და-მაინც „ფანიუსი“ გაუყოს მას სამედიატორო სამართალში.

დას, ეს ასეა და მ. ნიკოლაძეს არა აქვს არავითარი უფლება, არც ზნეობრივი და არც თურდიული, უარყოფს მასზედ მოსულ მოპირდაპირეს გამოწვევას. ხოლო იგი კი უსაფუძვლო შემდგარა და ტიდაობის გუქნებზე მოსულს მხოლოდ ჩემთან. იყავს ნება მისი! მხოლოდ იცოდეს კი, რომ ტიდაობისც თავისი ფარკლები აქვს და უოკელი პატიოსანი მოჭიდავე ვაღლებულია. ეტადის არ გადასრდეს მათ, მ. ნიკოლაძე კი ამას იფიქრებს და მასზედ მოსულ მოპირდაპირეს გვერდს უხუკეს და ჩემსკენ მოიქცევა. ამას ჩვენებურად, იმერულად, საქმის კადფურჩებას ჰქვია.

ამასთანვე ისიც უნდა მოკასინო მ. ი. ნიკოლაძეს, რომ მე სრულყოფილ არ შეგხვეწივარ გაზეთის „მსახარო საქმიების“ რედაქტორის ჩემს მავკერად მსთან მოპირდაპირობის და არც უკვილოდ მისიმიცა ამის შესახებ არავითვის. ამგვარი გეჭილობა. როგორც ზევით მოკასინეთ, უოკელ რედაქტორს თავისით აქვს მინიჭებული და ამას



გერაკონ შეეცდიება. ჩემს მკაცრად გამოსვლა. რედაქტორის კეთილი სურვილი და მოვალეობა იყო და ამას არც ვეწინააღმდეგებოდი დღემდის, რადგან ეს მისი უფლებაა და საქმისთვისაც არ იყო საჭირო. ახლა კი ბოდიშს ვისდი მ. რედაქტორის წინაშე, თუ მის სურვალს გეუწრები და, რაკი მ. ნიკოლაძეც ჭირვეული ბავშვით აღარ ჩემდება, მე თვითონ ვღებულობ ჩემს თავსე უფლებივე მსახურის კუბას, სდაც უნდა იყოს.

სოლო საქმეს რომ დროზე დასსრული მიეცეს და მ. ი. ნიკოლაძემ კიდევ სხვა რამე არ მოითხოვოს, მე ახლავ ვინაშეც შედატორებს ჩემის მსრით, თუშეცა კადდეტულიც თუ თვითონ იყო შირველად მას დაესახელება შედატორები, რადგან მ. ნიკოლაძე გრძნობს თავის თავს ცელწამებულად და შეურაცხველად და აცევე გვიწვევს საშუალოდ სსმართაღეშე. ჩემის მსრით მე შედატორებთ ვინაშეც ბღ. მღ. სამსონ დვეიძეს და იურისტს ილია მისეს ძე თეფსაძეს. წინადადებას ვაძღვე მ. ი. ნიკოლაძეს დასასყელის თავეს მსრითაც ორი კაცი, რომელთაც ერთი შეეკვდად მივადელი უნდა იყოს. ეს ოთხი კაცი კი თავმჯდომარეს თვითონვე აირჩევენ. ვადაც ვინაშეც არ კვირას დღადგან ამ წკრადის დაბკდვი-სა. რაც შეეკება საბრადებლო მუხლებს, ეს შეევე აღნიშნულია „შინაური საქმეების“ ერთს ნომერში და აქ აღარ გავიმეორებ. სოლო ჩემს ვინაშეც მ. ი. ნიკოლაძე საქმის გარეშის დღეს შეიტტობს, რთც მე თვითონ გამოცხსადებო და წარადგენ ჩემს მოწმებს. მოწმეთა ჩვენება უშეშლად უნდა ჩაიწეროს ოქმში და განახრო გამოცხსადეს გაცეთის საშუალებით. თუ მ. ნიკოლაძე მისი შემდეგაც ორჭოთობას დააწვეს და კადევ რასმე მოიმიზესებს, უნდა ვითვიროთ მეც და საზოგადოებაშეც, რომ რასაც ამობადენ, მართალი და მამის ამას ადგილობითმა სასულიერო მთავრობამც უნდა შიამტობს უურადლება.

დავშთები ჟერ კადევ თქმული ძველი ნაგნობო

შინე იქნენ „პაპა“-მანი, ანუ „პაპა“-მანი?

# ნ ა თ ვ ლ ა .

ძველათ ნაკურთხი მღვდლებისაგან დატოვებულს მირონს ყოველწლიობით უმატებდნენ ზეთსა და იმასა ხმარობდნენ მირონით ნათელის დროს. ის ინახებოდა გათლილს რქებში. მშობიარე დედაკაცს ძველად იზინავებდნენ ციგსა და „უკაცურს“ სახლში. განთავისუფლებოდა თუ არა დედაკაცი ძეგობისაგან, მაშინვე მოიწვევდნენ პაპას, რომელიც წაუკითხავდა ლოცვას, რასაც «შეგნახს» (შეგონება) უწოდებდნენ; იქვე გარდაიხლიდა აიამსაც, რამდენიმე დღის შემდეგ კიდევ მოიწვევდნენ პაპას ბავშვის მოსანათლავად. დედა-კაცი განცალკევებით იყო, პაპა არ ეკარებოდა ბავშს და არც ნათლია. პაპა კითხულობდა ლოცვებს განურჩევლად წითურისა, შებერვის დროს პაპა ამბობდა შორიახლოდგან:

— შებერავს, ფუჭ ვაყი შენი შევილია, თუ ქალია, ქალი შენი შევილია.

წყალში ბავშს თითონ დედა ჩასვამდა, იოლო პაპა ამბობდა:

— ნათელს იღებს მონა ესე ღვთისა სახელთა მამისათა იამენ და ძისათა, იამენ და სულისა წმინდისათა, იამენ! (მ გზის).

შემდეგ ნათლია დაიკვებდა გრძელ ჩხირს და იმით სცებდა მირონს ბავშსა; ჩხირსკი იქვე ცეცხლში დასწვავდა. მეორმოცე დღეს დედა-კაცი მივიდოდა ეკლესიაში, სადაც პაპა „საორმოცის“ წაუკითხავდა... ამას ემახიან „ლინწილნალ“ (ნაწილობა); იმ დღიდან ის ეკლესიის და ოჯახის მონაწილე ხდებოდა, მანამდე-კი არაინ არ ეკარებოდა გარდა ერთი ვინმე ბავშვისა.

## გვირგვინის კურთხევა.

გვირგვინის კურთხევა სახლში იცოდნენ. სურდათ ერთმანეთი ქალღავის თუ არა, იმის

Enanus.



განეთხებაში პაპა არ შედიოდა. ხშირად გვირგვინის კურთხევა ხდებოდა ძალაუნებურად, იყო მაგალითები, რომ მშის ნაცოლვეზედაც დასწერდნენ ხოლმე ჯვარსა, რითაც აშკარად ასრულებდნენ მოსეს კანონს: „მამან მშის თესლი აღადგინოს.“

„წვილსა“\* და „ჩიუეს“\*\* დააბრძანებდნენ სკამზედ და ნემსით ერთმანეთს გადაუბამდნენ კალთებსა. მერმე პაპა შეუდგებოდა ისევე არტულად ჯვარის წერის კითხვასა. ღვინის მაგიერ არაყსა ხმარობდნენ. გვირგვინების მაგიერობასა სწევდა ვახის რგოლები, რომლებზედაც ხის ჯვარი იყო დამაგრებული. უკანასკნელი პაპა, რომელიც ამ ბოლო დრომდე ცილდე ასრულებდა ფარულად გვირგვინის კურთხევის წესსა, იყო განთქმული მეღვინე-მეჭიანურე ქაეზოთი, რომელიც ამ ათიოდე წლის წინათ გადაიცვალა.

**ზეთის კურთხევა.**

ზეთის კურთხევისათვის დიდს ამბით ემზადებოდა მოსახლე, რომელსაც იგი სწადდა: დაჰკლავდა ოთხამდე ხარს, მოამზადებდა ბლომად არაყსა და პურს და მოიწოდებდა ოცამდე პაპას. პაპები ჯერ ზეთს მოუკიდებდნენ, მერმე ჩამოსხმებოდნენ რიკ-რიგზედ; „ტაბაკზედ“ ზეთს დასდამდნენ, ხელში კურთხევენი ეჭირათ და კითხულობდნენ ზეთის კურთხევის წესსა. ერთი კვირის განმავლობაში ყოველ დღე სრულდებოდა ზეთის კურთხევა. ერთი კვირის გასულს იმ მოსახლის ყველა მწვერი სათითაოდ მივიდოდა უფროსს პაპასთან და აღსარებას ეტყოდა შემდეგის სახით: ხელში ეჭირათ თონის (ბალახა) კონა და ამბობდნენ: ამდენი ცოდვა მიქნაო! შემდეგ პაპა გახსნიდა მათ ცოდვათაგან. ბოლოს მიიწვევდნენ მთელს სოფელს და სახიხარულოს გადაიხდიდნენ..

**ბრწინაულ ადგომას ღვთის მსახურება.**

ქათმის ხმობისას შევლენ პაპები ეკლესიაში; ერთი შეგნით დარჩება და კარებს მიხურავს, სხვანი გარედგან ეტყვიან:

— აღებენით ბქენი თქენი, მთავარო, და აღებენით ბქენი საუკუნენი და შევლენ მეუფე დიდებისა; შიგნიდან პაპა მიუკვებს:

— ვინ არს ესე მეუფე დიდებისა? გარედგან მიუგებენ:

— მე ვარ უფალი ძალთა დიდებისა! მერმე შევლენ ეკლესიაში და შეუდგებიან ცისკარსა. ცისკრის შემდეგ ერთი პაპა დადგება ეკლესიის კარებთან და მალაღის ხმით იტყვის:

— ქრისტე აღსდგა! ვინ როდესთ, ვისაც გესმოდესთ, არა გესმოდესთ: პირსა და პირმეტყველსა, კაცსა და პირუტყვსა, ტყესა და კლდესა, ქრისტე აღსდგა, ვიხაროდესთ!

ამ მოკლე და მძლავრი სიტყვები, ბევრად უკეთესი და გულის სიღრმეში ჩამწდომი, ვიდრე მგენი მოძღვრების უგუნებო, მქეჩარი და ძალას მოკლებული ქადაგება!..

**მიცვალებულის წესის ატეხისათვის.**

მიცვალებულის დასაფლავებამდე პაპა ყოველ დილა-სიღამოს უკითხვდა: ნეტარ არიანს, სერობასა და პანაშვილს. მიცვალებულის კუბოთი ჩასვენების დროს პაპა უთუოდ უნდა დასწრებოდა. ის შეხვედა მიცვალებულს სურითა; თავიდან ფეხებამდის ჯვარის სახედ ძაფს დაადებდა, მერმე დაფხენილს ნიგოზს გადააყრიდა მიცვალებულს და იტყოდა:

— იამენ იესო ღვთისათა, იამენ მამისა ძისათა. იამენ და სულისა წმიდისითა, იამენ! ერთჯერ-თქო, ორჯერ-თქო, სამჯერ-თქო, თავილამ ფეხებამდე ზეთი გცხებია მეორედ მოსვლამდი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა! —

როდესაც მიცვალებულს მისვენებდნენ საფლავზედ, პაპა გადასახვდა ჯვრის სახეს ჯვრითვე და იტყოდა სამ გზის:

\* წული — დედოფალითოც, მივირგებ  
\*\* ჩიუე — მეფე (ხიუე) ნიქმანოც დეტოც

იამენ იესო ღვთისაიოთა, იამენ და ძისა-  
იოთა, იამენ და სულისა წმიდისაიოთა, იამენ! საფ-  
ლავი ღაზარესი, ძვალი იობისა, სული აბრა-  
მისა; ესე ხიდი ყოველთა ჩამოსავლი  
არს!..


თავისუფალ სევანეთის სოფელ მუქალში  
შეხვედებით დღეს მოხუცებულს, შტატ გარე-  
შე მყოფს ძღვედელს, მამა გიორგი მარგინას,  
რომელიც წინეთ „პაპა“ იყო და რომელსაც  
დღეს თეთრი წვერი უმტკიცებს გამოცდილ-  
ბასა.

ზემორე ნათქვამი პაპათა შესახებ ჩვენ  
გვაქვს ნაამბობი ხსენებული მღვდლისაგან. ამი-  
სათვის და რადგან მღვდლის გ. მარგინის  
ცხოვრებაში ბევრი საგულისხმო რამ მოიქე-  
ნება, ურიგო არ იქნება ორიოდ სიტყვით  
მის წარსულ ცხოვრებასაც შევხებით. მღვდე-  
ლი გ. მ—ნი არის გლეხის შვილი, ბუნებითი  
სევანი, ს. მულახს დაბადებული. მამა მისი მურ-  
ზა იმ დროში შესანიშნავი ყოფილა ვაეკაო-  
ბითა და სტუმართ-მოყვარეობით. თავის სამს  
ვაცს დროს შესაფერადა ზრდიდა და 16 წლის  
გიორგის თოფის ხმარება თამამად შეეძლო.  
აღსანიშნავია ერთი გარემოება მამა გიორგის  
ცხოვრებიდან. ეს იმ დროს იყო, როდესაც  
რუსის მთავრობა ახლად შემოვიდა სევანეთში  
და თავის წესებს ამყარებდა.

ნაცვლად პაპებისა მთავრობამ „ახალი  
მღვდლები“ გაუგზავნა სევანეთსა. ახლად მოსუ-  
ლი მღვდლები პირველად ეხამუშა ხალხს და  
არც არაფრად არ ეპიტნავენოდა: მას ჰყავდა  
საკუთარი, ღვიძლი მღვდელი, მასთან აღზრდი-  
ლი შესისხლობრცხული. ამისგან, ადვილი  
წარმოსადგენია, თუ რა პირობებში უნდა ყო-  
ფილიყვნენ „ახალი მლოცველნი, მეტადრე  
გამძლავრებული პაპების გადაქციდენი, პირვე-  
ლად ორმა-სამმა თუ გაბედა სევანეთში მისვლა,  
ისინი იძულებულნი იყვნენ ცუდად ყოფილი-

ყვნენ, რადგან მათს საქმეს პაპები ასრულე-  
ბენ.

ბლ. მდ. ი. მარგინა.  
(შემდეგი იქნება).



რედაქტორი, მღვდელი **სიმონ მამდლიძე**.  
გამომცემელი, **იოსებ ლეჟავა**.

გ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ა ნ ი.



# სსშაშა „უროსა“

— დაბა შვირილაში —

შვირილის რკინის გზის ხიდის პირდაპირ  
დებულობს ეოველგვარ სასტამბო საქმ.  
გეგმად: ბლანკებს, აფიშებს, განცხადებებს,  
წიგნებს, ბროშურებს და ეოველგვარ მოს-  
წვევ წერილებს: ქარწიგებისს, ნათელისს,  
სამედიკინოებისს და სხვ. აგრეთვე კონტა-  
რებისთვის სახგარისო წიგნებს და წიგნ-  
კებს, კვიტანციებს, იარღიებს, სადარბაზო  
ბათათებს (ვიზ. კარტ.) და სხვ.

აგრეთვე გვაქვს დამზადებული ყველა სასწავლე  
ბლასათვის კლასის ჟურნალები და ბილეთები.

საქმეებს გასრულებთ სუფთად და თავის  
დროზე ძლიერ დაქვებულ ფასებში.

რაშიდაც შეუძლიანთ დარწმუნდენ თვით  
პატიცემულნი ზაკაზნიკები.

ადრესი: ეგორიდა სტამბა „უროსა“.

Адресъ: Тяногр. „Трудъ“ Квирьны



# სამხატვრო სახელოსნო

ა. ი. ყირიაკოვისა. ქ. ქუთაისში.

ღებულობს უოველგვარ სამხატვრო-საეკლესიო სამუშავერს. ასრულებს დროზე, სუფთათ, სიძველეთ და სინდისიერათ.

ფასები ნასატკების დარსებაზე და ზომაზეა დამოკიდებული და ყოველ შემთხვევაში საშუალოა.

სამხატვროს არავისთან დამოკიდებულება და კვეშირი არ აქვს და ამიტომ ყველას სთხოვს პირადათ მასთან მოიქცენ და არ დაუჯგორონ ზოგიერთ ჩარჩ მხატვრებს და მოიჯარადრეებს რომლებიც ჩვენი ფირმის სახელით სარგებლობენ საქმის აღების დროს სოფლებში. სამუშავერს პირობით ვღებულობთ, თუ მოწონებული არ იქნება სასულიერო მთავრობისაგან უკანვე ვიბრუნებთ და სხვის ვასრულებთ იმავე მთავრობის შენიშვნისამებრ.

ჩვენი ფირმა სარგებლობს კურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის უოვლად სამღვდლო ლეონიდას ნდობით და გვაქვს მათი შეუფებისაგან შესაფერი მოწმობა.

ადრმხი: „შინაური საქმეების“ რედაქცია ან ივანოვის ქუჩა № 14.

„შინაური საქმეები“-ს რედაქციაში იყიდება:

კლიროვის უწვებები ახალი ფორმისა და ეველა უწვებები (ВЪДОМОСТИ) წლიური საბლადონინო ანგალიშებისათვის. ბლანკები „მობის“ გამოცემა და ფულიც მას ეკუთვნის. ფასი ბლანკებისა—რწვევლი 5 კაპ. ვინც ორასზე მეტს დაიბარებს—4 კაპ.

ხვედრი ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Кутаись, Правление религиозно-просвѣтительнаго „братства“.

Ольденбургская д. № 5.